



## გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები: მდგრადი ენერჯეტიკის და გარემოს დაცვის გაერთიანებული სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი/შეჯამება

შეხვედრის თარიღი: ხუთშაბათი, 05/07/2018, 10:00

შეხვედრის ადგილი: ქორთიარდ მარიოტი

შეხვედრის თემა: ეროვნული ინდიკატორების გაუმჯობესება და მიზნების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტებთან; მე-7, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 მიზნების

განხორციელების შეფასება

შეხვედრის მონაწილეები: დანართი 1

გამომსვლელები	პრეზენტაციები	პოზიცია
ანა კვერნაძე	გახსნითი სიტყვა, სამუშაო შეხვედრის შესავალი	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ნინო ჯანაშია	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში	UNDP-IDFI პროექტის საჯარო პოლიტიკის ექსპერტი
ნინო ფარცხალაძე	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება	UNDP-IDFI პროექტის მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტი
თეა ავაზაშვილი	ეროვნული ინდიკატორების გაუმჯობესება და მიზნების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტებთან - მიზანი 7	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ნინო ჯანელიძე	ეროვნული ინდიკატორების გაუმჯობესება და მიზნების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტებთან - მიზნები 11, 12, 13, 14, 15.	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

**განხილული საკითხები დღის წესრიგის მიხედვით:**

## **10:10 - გახსნითი სიტყვა**

**ანა კვერნაძე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**

შეხვედრა გახსნა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა კოორდინატორმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა - ანა კვერნაძემ. უპირველესყოვლისა მან დამსწრე დაინტერესებულ მხარეებს მოახსენა იმ სამუშაოების შესახებ, რომლებიც ჩატარდა საბჭოს ჩამოყალიბების შემდეგ. მან განმარტა, რომ საბჭოს ქვეშ შექმნილია სამუშაო ჯგუფები 4 თემატიკის მიხედვით. უკვე ჩატარდა შეხვედრები 1-ელ და მე-2 ინტეგრირებულ სამუშაო ჯგუფებში. 1-ელ - სოციალური ინკლუზიის სამუშაო ჯგუფში გაერთიანებული შეხვედრა გამონაკლისის წესით ჩატარდა ორჯერ, რადგან პირველმა შეხვედრამ წარმოაჩინა სამუშაო ჯგუფების ორი მიმართულებით დაყოფის აუცილებლობა - ტექნიკური და ინტეგრირებული სამუშაო ჯგუფები. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულმა კოორდინატორმა ყურადღება გაამახვილა ტექნიკურ სამუშაო ჯგუფებში მუშაობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მოცემულ ჯგუფებში მუშაობის შედეგები წარედგინებათ განიხილება არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. ანა კვერნაძემ განმარტა, რომ პროექტი მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ და რომ მოცემული დროისთვის მიმდინარეობს პროექტის მეორე ეტაპი. პროექტის მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში. მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-სთან ერთად, რომლის მიერაც შერჩეულია ორი - პოლიტიკის და მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტი. ექსპერტები აქტიურად მუშაობენ ტექნიკურ სამუშაო ჯგუფებთან. ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება პირველი ინდიკატორ რეპორტი 2015-2017 წლებისთვის. მოცემული დროისთვის შემუშავებულია 204 ინდიკატორი, თუმცა ისინი მუდმივად იცვლება და ემატება ახალი ინდიკატორები. ანა კვერნაძის განმარტებით მომზადდება პირველი ეროვნული ანგარიში, რომელიც გაეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. მოცემული ანგარიშისთვის შერჩეულია მიზანი 16. ეროვნულმა კოორდინატორმა ხაზი გაუსვა, რომ პროექტის მთავრი სპონსორია შვედეთის განვითარების სააგენტო - SIDA. ამის შემდგომ, ანა კვერნაძემ სიტყვა გადასცა მონიტორინგისა და შეფასების ექსპერტს.

## **10:15 - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის დოკუმენტის შეფასება**

**ნინო ფარცხალაძე, მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ექსპერტი**

ნინო ფარცხალაძემ დამსწრე დაინტერესებულ პირებს მოახსენა, რომ სამუშაო ჯგუფებში აქტიურად მიმდინარეობს მდგრადი განვითარების მიზნების ჩარჩო დოკუმენტის, მისი ინდიკატორებისა და სამიზნეების გადახედვის პროცესი. ინდიკატორთა გადახედვის მიზანია მათი მაქსიმალურად დაახლოება გლობალურ ინდიკატორებთან. აღნიშნული თავის მხრივ უზრუნველყოფს გლობალური ინდიკატორების შედარების შესაძლებლობას ქვეყნებს შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც გლობალურ ინდიკატორთან მიახლოება არის შეუძლებელი ეროვნულ ინდიკატორს ენიჭება ცალკე ნომერი და ის ხდება დამატებითი ინდიკატორი. ექსპერტმა ხაზი გაუსვა დამატებითი ინდიკატორების შემუშავების მნიშვნელობას. მან განმარტა, რომ უახლოეს

მომავალში ნაციონალიზებული ამოცანების რაოდენობა გაიზრდებოდა და რომ აღნიშნული განსაკუთრებით ეხებოდა გარემოს დაცვის სფეროს. ნინო ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა მატრიცის შემუშავებაზე, რომლის პირველი ეტაპიც დასრულდებოდა თვის ბოლოს. მან ხაზი გაუსვა, რომ განახლებული მატრიცა თავისი სამიზნეებითა და ინდიკატორებით გაეგზავნებოდა სამუშაო ჯგუფის წევრებს და აღნიშნა, რომ დოკუმენტი იქნებოდა სამუშაო და მასში ცვლილებების შეტანა შემდგომშიც იქნებოდა შესაძლებელი.

**10:20 - ანა კვერნაძე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**

ექსპერტის მიმართვის დასასრულებს შემდგომ ანა კვერნაძემ დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ მატრიცა წარედგინება მთავრობას მისი მოწონების და არა დამტკიცების მიზნით, იქიდან გამომდინარე, რომ ის იყო ცოცხალი დოკუმენტი და საჭიროებდა მუდმივ ცვლილებებსა და დამატებებს. მან ასევე აღნიშნა, რომ თავდაპირველად მუშაობის პროცესი არ მიმდინარეობდა სრულყოფილად, რადგან შემუშავებული ინდიკატორები შორის იყო გლობალური ინდიკატორებისგან, თუმცა აღნიშნული ხარვეზი გათვალისწინებულ იქნა შემდგომი მუშაობის პროცესში.

ამის შემდგომ ანა კვერნაძემ წარადგინა შემდგომი გამომსვლელი, პოლიტიკის ექსპერტი - ნინო ჯანაშია.

**10:25 - გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრაცია ეროვნული საჯარო პოლიტიკის სისტემაში**

**ნინო ჯანაშია, საჯარო პოლიტიკის ექსპერტი**

ნინო ჯანაშიამ აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფთა ორად დაყოფის საჭიროება გამოიწვია იმან, რომ აუცილებელი იყო კონკრეტულ უწყებებთან ახლო თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვითი და ენერგეტიკის კუთხით. მან აღნიშნა, რომ მოცემული შეხვედრის მიზანი იყო 7 მიზნის განხილვა, კერძოდ მიზნები 7, 11, 12, 13, 14, 15 და ჩამოთვალა მათი ფორმულირებები: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა; ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება; ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის; დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ნინო ჯანაშიამ აღნიშნა, რომ მოცემულ ჯგუფში მუშაობის პროცესი სხვა ჯგუფებთან შედარებით იყო უკან, რის გამოც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაციებისა და შენიშვნების მიღება დამსწრე საზოგადოებისგან. ამასთან ექსპერტმა ღონისძიების მონაწილეებს მოუწოდა კონკრეტიკისკენ საკუთარი კომენტარების მიწოდებისას.

**10:30 - ანა კვერნაძე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია**

ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა, რომ მოცემული შეხვედრების ფორმატში სამინისტროებს ეძლეოდათ შესაძლებლობა ისაუბრათ არა მარტო დასახულ მიზნებსა და მიღწეულ პროგრესზე, არამედ ასევე დაგეგმილ ქმედებებზე. მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა წარადგინა შემდეგი გამომსვლელი, თეა ავაზაშვილი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და მოუწოდა მას სიტყვით მიმართვისას მეტი ყურადღება გაემახვილებინა არსებულ გამოწვევებზე.

**10:32 – მიზანი 7 - ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.**

**თეა ავაზაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**

თეა ავაზაშვილმა თავდაპირველად დამსწრე საზოგადოებას გააცნო მე-7 მიზანი - ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, რის შემდეგაც ისაუბრა მის სამ ქვე-მიზანზე, კერძოდ: ქვე-მიზანი 7.1 - 2030 წლისთვის საქართველო მიაღწევს მნიშვნელოვან პროგრესს ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერჯომომსახურებაზე ქვეყნის მასშტაბით წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით; ქვე-მიზანი 7.2 - 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოში არსებულ სხვადასხვა ენერჯიებს შორის განახლებადი ენერჯის წილი; ქვე-მიზანი 7.3 - 2030 წლისთვის საქართველოში ენერჯოეფექტურობის გაუმჯობესების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდა.

პირველი ქვე-მიზნის შესრულების მიზნით მთავრობას დასახული აქვს ამოცანა უზრუნველყოს ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის 100%-სთვის 2030 წლისთვის. 2015 და 2017 წლების მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი 99% იყო, რის მიზეზსაც წარმოადგენს ელექტროენერჯის არ არსებობა ზოგიერთ მაღალმთიან სოფელში.

მეორე ქვე-მიზანთან დაკავშირებით გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ბუნებრივი გაზი 2015 წელს ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის 60%-სთვის, 2017 წელს კი 68%-სთვის. 2030 წლისთვის დასახული მიზანი კი ბუნებრივი გაზით მოსახლეობის 75%-ის უზრუნველყოფაა.

მესამე ქვე-მიზანთან დაკავშირებით თეა ავაზაშვილმა ისაუბრა არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმების შესახებ. მან ხაზი გაუსვა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ ახალი კანონის მნიშვნელობას გაზიფიცირების პროცესში და ისაუბრა ენერჯოეფექტურობის გაზრდის მიზნით დაგეგმილ ქმედებებზე, შესაბამის სტრატეგიასა და კანონპროექტზე, რომელიც წლის ბოლოსთვის წარედგინება მთავრობასა და პარლამენტს.

**10:45 - მიზნები 11, 12, 13, 14 და 15 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება; კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება; ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის; დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი**

გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

**ნინო ჯანელიძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

ნინო ჯანელიძემ სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო ის 5 გარემოსდაცვითი მიზანი, რომლის შესრულების ვალდებულებაც აქვს ალებული ქვეყანას. მე-11 მიზანთან დაკავშირებით - ქალაქების მდგრადი განვითარება, გამომსვლელმა ყურადღება გაამახვილა ნარჩენების გადამუშავებისა და ჰაერში მცირე ზომის მყარი ნაწილაკების (PM 2.5, PM 10) შემცირების საკითხებზე. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო PM 2.5-სა და PM 10-ის ჰაერში შემცველობის მაჩვენებლები წერეთლის, ყაზბეგისა და ვარკეთილის რაიონებში და ჩამოთვალა ის ეროვნული დოკუმენტები, რომლებიც მოცემულ საკითხთან არის დაკავშირებული.

მე-12 მიზანთან დაკავშირებით – მდგრადი მოხმარება და წარმოება, სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა მოცემული მიზნის ქვეშ ნაციონალიზებულ ამოცანებზე და აღნიშნა, რომ მოცემული მიმართულებით არ არის შემუშავებული გამოთვლის მეთოდოლოგია. მან ასევე ხაზი გაუსვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობის აუცილებლობას. გამომსვლელმა ისაუბრა პროგრამაზე - განათლება მდგრადი განვითარებისთვის და აღნიშნა, რომ მოცემული მიმართულებით აქტიური მუშაობის დაწყება იგეგმება 2019 წლიდან.

მე-13 მიზანთან დაკავშირებით, ნინო ჯანელიძემ დასძინა, რომ კლიმატის ცვლილება წარმოადგენს განსაკუთრებულ გამოწვევას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. მოცემული მიზნის ქვეშ ნაციონალიზებულია ამოცანა 13.2 - კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და გეგმებში. საბაზისო ინდიკატორები გამომსვლელის ინფორმაციით ხელმისაწვდომი იქნება 2019 წელს.

მე-14 მიზანზე - ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის, საუბრისას ნინო ჯანელიძემ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ მოცემულ საკითხზე დამატებით ინდიკატორს წარმოადგენდა ელექტრონული მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომელიც მოცემული დროისთვის არის ამოქმედებული. გამომსვლელმა ისაუბრა იმ სტრატეგიებზე, რომლებიც რელევანტურია დასახული მიზნის მიღწევისთვის. მოცემული მიზნის ქვეშ ნაციონალიზებულია ამოცანა 14.4 - 2020 წლისთვის თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირება და ჭარბი, უკანონო, აღურიცხავი და არარეგულირებული თევზჭერის და თევზჭერის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა.

ტყის მასივებისა და ეკოსისტემების კონსერვაციასთან (მიზანი 15) დაკავშირებით გამომსვლელმა აღინიშნა, რომ ნაციონალიზებული მიზნის ქვეშ გაერთიანებულია 5 ამოცანა: 15.1: ეკოსისტემების, მათი სერვისების, ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, მთებისა და გამომშრალი მიწების კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენება; 15.2: ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, გაუდაბნოების შეჩერება, დეგრადირებადი ტყეების აღდგენა, ტყის ხელოვნური და ბუნებრივი განახლება; 15.3: ბრძოლა გაუდაბნოების წინააღმდეგ, დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა, მათ შორის გაუდაბნოებით, გვალვითა და წყალდიდობებით, და მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევა მსოფლიოში 2030 წლისთვის; 15.4: მთის ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის

უზრუნველყოფა და ბიომრავალფეროვნების კარგვის შეჩერება; 15.5: ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის შემცირება და გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული სახეობების დაცვა, მათი გადაშენების თავიდან აცილება. გამომსვლელმა ჩამოთვალა რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები და დაგეგმილი ქმედებები, მათ შორის ტყის კოდექსის მიღება, ბიომრავალფეროვნების შესახებ კოდექსის მომზადება, დაცული ტეროტორიების ფართობის გაზრდა და თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

### 11:00 - კითხვა-პასუხი/დისკუსია

კითხვა-პასუხის ეტაპი გახსნა EEF-ის წარმომადგენელმა, ვახტანგ ზარქუამ. მან გამოთქვა საკუთარი მოსაზრება სამუშაო ჯგუფებში მიმდინარე მუშაობის შესახებ, გამოხატა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო მუშაობის პროცესის მეტად გააქტიურება. მთავრობის წარმომადგენელმა, ანა კვერნაძემ მოუწოდა EEF-ის წარმომადგენელს კითხვის დასმისა და საკუთარი გამოსვლის დროში შეზღუდვისკენ რათა სხვა მონაწილეებს ასევე მისცემოდათ შეკითხვებისა და კომენტარების გაკეთების საშუალება. ბატონმა ვახტანგმა კომენტარი გააკეთა ენერჯის განახლებად წყაროებთან დაკავშირებით - ამოცანა 7.2.1 და აღნიშნა, რომ ზრდა ამ მიმართულებით ძალზედ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ამასთან გაუგებარი იყო თუ რა მეთოდით ხდებოდა მონაცემთა შეფასება. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუღებელი იყო, როდესაც ჰესების გაერთიანება ხდებოდა განახლებადი ენერჯის წყაროებთან და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული პრობლემის საფუძველს წარმოადგენდა ენერჯის განახლებადი წყაროების განმარტების არ არსებობა საკანონმდებლო დონეზე. გამომსვლელმა ასევე დასძინა, რომ განვითარების ტემპი იყო ამ მხრივ ძალზედ ნელი, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, იმ პერიოდისთვის როდესაც ისინი განვითარების იმავე ეტაპზე იმყოფებოდნენ რომელზეც დღეის მდგომარეობით საქართველოა.

შემდგომი კომენტარი გააკეთა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების“ წარმომადგენელმა რუსუდან სიმონიძემ, ის დაეთანხმა წინა გამომსვლელს და აღნიშნა რომ 2030 წლისთვის დასახული ამოცანა იყო ძალზედ არა ამბიციური.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი ქეთი გუჯაბიძე თავის მხრივ დაეთანხმა წინა ორი გამომსვლელის მოსაზრებებს და დაინტერესდა იმით განახლებად ენერჯიასთან დაკავშირებული ამოცანით გათვალისწინებული ხელმისაწვდომობა გულისხმობდა ფიზიკურ თუ ფინანსურ ხელმისაწვდომობას.

UNICEF-ის წარმომადგენელმა ანდრეა ნადირაძემ დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო თუ არა მატრიცით ჰაერში კონკრეტული დამაბინძურებლის შემცირება.

WEG-ის წარმომადგენელმა გიორგი მუხიგულაშვილმა დასვა შეკითხვა კლიმატის კომიტეტის შექმნის დაგეგმილი აქტივობის განხორციელების გეგმების შესახებ. ის ასევე დაინტერესდა იმით, თუ რატომ არ იქნა მიღებული LED სტრატეგია, რომელზეც დაინტერესებული მხარეები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდნენ და იყო მოლოდინი, რომ ის საბოლოოდ მიღებული იქნებოდა მთავრობის მიერ სტრატეგიის სახით.

შემდგომი შეკითხვებისა და კომენტარების მოსმენამდე სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებმა და პროექტის ექსპერტებმა უპასუხეს მოცემულ შეკითხვებს. ანა კვერნაძემ

თხოვა პროექტის ექსპერტებს ინფორმაცია ბატონი ვახტანგ ზარქუას მიერ მოწოდებული კომენტარებისა და რეკომენდაციების განხილვის შედეგების შესახებ.

მწვანე ენერჯის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელს განემარტა, რომ დასახული მიზანი გულისხმობდა ენერჯის ფიზიკურ ხელმისაწვდომობას. UNICEF-ის წარმომადგენელს ანდრეა ნადირაძეს ეცნობა, რომ ის მიერ დასმული საკითხი იყო გათვალისწინებული მატრიცით. აღნიშნა ასევე, რომ მწვანე ენერჯის ცნება არ იყო კანონმდებლობის დონეზე განმარტებული და რომ მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის კანონპროექტზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა, ნინო თხილაძემ გიორგი მუხიგულაშვილს განუმარტა, რომ მის მიერ ხსენებული დოკუმენტი სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით არ წარმოადგენდა სტრატეგიულ დოკუმენტს და მისი მთავრობისთვის წარდგენა არასდროს იგეგმებოდა. ნაცვლად ამისა მოცემული დოკუმენტი წარმოადგენდა ბაზას სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხზე სტრატეგიების ჩამოყალიბებისთვის, შესაბამისად მისი მთავრობისთვის წარდგენის მიზნებისთვის აუცილებელია იქნებოდა კონკრეტული კომპონენტების განსხვავებულ ფორმატში ჩამოყალიბება. სამთავრობო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით ნინო თხილაძემ განმარტა, რომ მოცემულ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და პროცესში სამინისტროს დახმარებას უწევს GCF.

პროექტის ექსპერტმა, ნინო ფარცხალაძემ, განმარტება გააკეთა ვახტანგ ზარქუას კომენტართან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ენერგოეფექტურობის მიმართულებით დასახული მიზანი ნამდვილად იყო არა ამბიციური და განმარტა, რომ აღნიშნული ეფუძნებოდა წინა წლების გამოცდილებას. მან ხაზი გაუსვა, რომ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის უწყებებთან იმისთვის, რომ შეფასდეს, რამდენად არის შესაძლებელი მეტად ამბიციური მიზნის დასახვა, ამასთან მიზნის მიღწევის გაზომვის მეთოდები მაქსიმალურად ახლოს იქნება გლობალური ინდიკატორების გაზომვის მეთოდებთან. ექსპერტის განმარტებასთან დაკავშირებით, ვახტანგ ზარქუამ კომენტარის სახით აღნიშნა, რომ დასახული მიზანი არ უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს წარსული წლების გამოცდილებას, არამედ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გამოცდილებას, როდესაც ისინი განვითარების ეტაპზე იმყოფებოდნენ. ანა კვერნაძემ ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის შიდა პოლიტიკა არის მდგრადი განვითარების მიზნები და პირიქით, აღნიშნა, რომ სწორედ ამას გულისხმობს ნაციონალიზაციის პროცესი და დასძინა, რომ სამუშაო ჯგუფს აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს მთავრობას ინფორმაცია კონკრეტული საჭიროებების შესახებ და მიიღოს ხელშესახები შედეგი.

ნინო ანთაძემ (UNDP) გამოხატა ინტერესი მომავალში გარემოს დაცვის საკითხებზე მატრიცაში დასამატებელ საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დისკუსია ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა დამსწრე საზოგადოებისთვის ამ ინფორმაციის შეხვედრამდე ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. მან დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია განახლებადი ენერგორესურსების შესახებ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესახებ, რომელზე მუშაობაც იყო დასრულებული. მისივე ინფორმაციით აღნიშნული ვალდებულება, ისევე როგორც ენერგო ეფექტურობის სამოქმედო გეგმის შემუშავება, საქართველოს მთავრობას ალებული ქონდა ევროკავშირის წინაშე. ნინო ანთაძემ ხაზი გაუსვა, რომ განახლებადი ენერგორესურსების შესახებ სამოქმედო გეგმაში მოცემული იყო მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც მჭიდრო კავშირში იყო მდგრადი განვითარების მიზნების

ნაციონალიზაციასთან, დოკუმენტი მოიცავდა მნიშვნელოვან მონაცემებს საბაზისო ინდიკატორების შესახებ. მოცემულ კომენტართან დაკავშირებით ნინო ფარცხალაძემ გააკეთა განმარტება სამიზნე ინდიკატორების შემუშავების პროცესისა და მეთოდოლოგიის შესახებ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე გააკეთა განმარტება სამომავლოდ დაგეგმილი კანონპროექტის შესახებ, რომელიც ენერგეტიკის სფეროში დაარეგულირებს მრავალ განხილულ საკითხს მათ შორის განახლებადი ენერჯის ცნებას და მაქსიმალურად ახლოს იქნება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.

ზაზა ჭელიძემ (FAO), დაადასტურა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ სამინისტროსთან სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში და ისაუბრა აღნიშნული თანამშრომლობის შესახებ.

UNICEF-ის წარმომადგენელმა ადრეა ნადირაძემ დასვა შეკითხვა ქალაქის სხვადასხვა წერტილებში ჰაერის დაბინძურების დონის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ის ასევე შეეხო განახლებადი ენერჯის წყაროებისა და შიდაწვის ძრავიანი ავტომობილების აკრძალვის/შეზღუდვის საკითხებს.

დაისვა ასევე შეკითხვა ინდიკატორების ფარგლებთან დაკავშირებით, კერძოდ მოიცავდა თუ არა ის გარდა PM 2.5 და PM 10-ისა სხვა ჰაერის დამაბინძურებლებს და დამატებით ქალაქებს გარდა თბილისისა.

CENN-ის წარმომადგენელმა რეზო გეთიაშვილმა საკუთარ კომენტარში ყურადღება გაამახვილა განათლების საკითხზე. მან ასევე ისაუბრა ტყის კოდექსზე, მოხმარებული შეშის ოდენობაზე, უკანონო ჭრებზე, ტყის დეგრადაციისა და შედეგად გამოწვეულ ბუნებრივ კატასტროფებზე. მან ხაზი გაუსვა სათბობი რესურსის შევსების აუცილებლობას და ისაუბრა შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და მიღებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გამომსვლელმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, ასევე ჰიდრორესურსებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების საკითხებთან დაკავშირებით.

ჰაერის დამაბინძურებლებთან დაკავშირებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მონაცემები არის ხელმისაწვდომი მრავალ დამაბინძურებლეთან დაკავშირებით და არამარტო თბილისში არამედ სხვა მსხვილი ქალაქების მასშტაბითაც. ამასთან თბილისის შემთხვევაში მონიტორინგის სადგურები დამონტაჟებულია რამდენიმე რაიონში. ჰაერის მონიტორინგის სადგურების დამონტაჟება იგეგმება ახალ ქალაქებშიც.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი გამოეხმაურა ანდრეა ნადირაძის შეკითხვას, გააცნო დამსწრე საზოგადოებას ის ქმედებები, რომლებიც იგეგმება ენერგოეფექტურობის მიმართულებით, აღნიშნა რომ შიდაწვის ძრავიან ავტომობილებთან დაკავშირებულ საკითხზე მუშაობს ტრანსპორტის დეპარტამენტი და რომ მოცემული მიმართულებით გაწერილია 9 ღონისძიება NEAP დოკუმენტში. მან ასევე ისაუბრა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების კუთხით დაგეგმილ ქმედებებზე.

ნინო ანთაძემ (UNDP) გამოთქვა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტროს მანდატი არ ფარავს ურბანულ ტრანსპორტს და საკითხი არის უყურადღებოდ დატოვებული პოლიტიკურ დონეზე. მოცემულ საკითხზე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადდა ჩარჩო დოკუმენტი. არსებობდა შეთავაზება, რომ



აღნიშნული ინტეგრირებული იქნებოდა თვითმმართველობის სტრატეგიაში. ნინო ანთაძემ დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო გათვალისწინებული ურბანული ტრანსპორტის საკითხი მე-11 მიზანში. ნინო ფარცხალაძემ განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა დამატებით ეროვნულ ინდიკატორს. ანა კვერნაძემ დაამატა, რომ თავდაპირველად არსებობდა სირთულეები მოცემული მიმართულებით პასუხიმგებელი უწყების მოძიებასთან დაკავშირებით, თუმცა მოცემული დროისთვის პრობლემა ნაწილობრივ იყო აღმოფხვრილი, რადგან ამ მიმართულებით აქტიურობდა ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ნინო ანთაძის (UNDP) შემდგომი შეკითხვა ეხებოდა ბუნებრივი კატასტროფებისა და საფრთხეების თავიდან აცილების საკითხს და იმას, თუ რამდენად იყო აღნიშნული გათვალისწინებული დასახული ამოცანებით. მან დადებითად შეაფასა ის, რომ მატრიცა იყო ცოცხალი დოკუმენტი და შესაძლებელი იყო მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა. მან ასევე ხაზი გაუსვა მთავრობის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მომდინარე დაფინანსების გათვალისწინებისა და მაქსიმალურად გამოყენების აუცილებლობას. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენდა ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელს დანერგვის მიზნითაც შემდგომი 7 წლის განმავლობაში მნიშვნელოვან დაფინანსებას მიღებდა საქართველო. მოცემულ კომენტართან დაკავშირებით ანა კვერნაძემ აღნიშნა, რომ ბუნებრივი კატასტროფები გათვალისწინებულია 1-ლი მიზნით, თუმცა მნიშვნელოვანია მასზე მეტი ყურადღების გამახვილება და აუცილებელი ინფორმაციის მიტანა გადაწყვეტილების მიმღებებამდე. პროექტის ექსპერტმა ნინო ფარცხალაძემ განმარტა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ენერგეტიკის სამინისტროსთან დამატებით 4 ინდიკატორის ნაციონალიზაციის მიზნით. ანა კვერნაძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ დადგენილი ნაციონალიზებული მიზნები და ამოცანები არ არის საკმარისი და აუცილებელია მისი დახვეწა შესაბამისი დაინტერესებული პირების ჩართულობის საფუძველზე. სწორედ აღნიშნულს ემსახურებოდა მოცემული შეხვედრაც.

მე-11 მიზანთან დაკავშირებით „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების“ წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა დამატებითი ინდიკატორების შემუშავების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ საბჭოს მიაწვდიდა საკუთარ რეკომენდაციებს.

WWF-ის წარმომადგენელმა ლალი თევზაძემ კომენტარი გააკეთა დაცული ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით, გამოხატა უკმაყოფილება იმით, რომ აღნიშნული არ იყო გათვალისწინებული ინდიკატორებით და დასძინა, რომ საკუთარ რეკომენდაციებს წერილობითი სახით მიაწვდიდა საბჭოს.

კომენტარები გაკეთდა ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობის პრაქტიკასა და მნიშვნელობაზე.

## 12:25 - შეჯამება

ანა კვერნაძემ აცნობდა დამსწრე საზოგადოებას, რომ 1-ელ და მე-2 სამუშაო ჯგუფებში თანათავმჯდომარეთა პროცესი იყო დასრულებული. განუმარტა მოცემული ჯგუფის წევრებს თავმჯდომარეთა არჩევის წესი და პროცედურები და ამცნო მათ, რომ მდგრადი ენერგეტიკის და გარემოს დაცვის გაერთიანებული სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარეთა არჩევის მიზნით მის წევრებს გაეგზავნებოდათ ონლაინ კითხვარი მომდევნო კვირას. ანა კვერნაძემ სამუშაო

ჯგუფის წევრებს შეახსენა, რომ მათ ხმის მისაცემად მიეცემოდათ 10 დღის ვადა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა თანათავმჯდომარეთა ფუნქციებსა და მოვალეობებზე. ანა კვერნაძემ დააფიქსირა საბჭოს ღიაობა თანათავმჯდომარეთა არჩევის პროცესთან მიმართებით კომენტარებისა და შენიშვნების განხილვაზე,

**12:30 - შეხვედრის დასასრული**

## დანართი #1

### მონაწილეთა სია

1.	სახელი, გვარი	დაწესებულება	თანამდებობა
2.	ირმა გვილავა	საქსტატი	სოციალურ-სტატისტიკური სამმართველოს უფროსი
3.	თემურ გოგინოვი	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ექსპერტი, ანალიტიკოსი
4.	თამარ წულუკიძე	კულტურისა და სპორტის სამინისტრო	სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურის უფროსი
5.	ლევან ქარსაულიძე	საქსტატი	ეროვნული ანგარიშების სამმართველოს უფროსი
6.	გიორგი სანაძე	საქსტატი	ბიზნეს-სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
7.	თეა გვარამაძე	MOH	სამმართველოს უფროსი
8.	ლიკა კლიმიაშვილი	MOH	სამმართველოს უფროსი
9.	პაატა ჟორჟოლიანი	MOH	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
10.	ნინო ჯანაშია		დამოუკიდებელი კონსულტანტი
11.	გიორგი ჭანტურიძე	პროფკავშირების გაერთიანება	ეკონომიკური ანალიტიკოსი
12.	თინა გენებაშვილი	შვედეთის საელჩო	პროგრამების ხელმძღვანელი
13.	გიორგი ბობშიაშვილი	AOG	მრჩეველი
14.	ლინა ჯიქია	Amcham	მთავარი იურისტი
15.	ნინო ესაკია	EY Georgia	საჯარო და სახელმწიფო სექტორის პრაქტიკის ხელმძღვანელი
16.	სანდრო მაჭარაშვილი	PwC Georgia	მთავარი იურისტი
17.	ნინო ბერაძე	PwC Georgia	მენეჯერი
18.	ნუცა ქაშაკაშვილი	EMC	მკვლევარი
19.	ლინა ღვინიაანიძე	EMC	პროგრამების დირექტორი
20.	თეა ლევიძე	MOESD	მდგრადი განვითარების სამმართველოს უფროსი

21. სალომე ოდიშარია	UNDP	GRF პროექტის მენეჯერი
22. დავით მუშკუდიანი	UN	გაეროს საკოორდინაციო საქმეთა ხელმძღვანელი
23. ნათია წიქარაძე	AOG	
24. ნათია კაციაშვილი	BEC	ადმასრულებელი დირექტორი
25. თამარ გულუა	საქსტატი	
26. ვახტანგ ზარქუა	ენერგოეფექტურობის ფონდი (EEF)	თავმჯდომარე
27. ანანო ცინციბაძე	OSGF	პროექტის კოორდინატორი
28. ნინო ფარცხალაძე	დამოუკიდებელი ექსპერტი	მონიტორინგისა და შეფასების კონსულტანტი
29. გიორგი ნანობაშვილი	UNDP	ეკონომიკური განვითარების ფუნდის უფროსი
30. ხათუნა ჭანუყვაძე	UNDP	მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი